განკარგულება:**g-87. 8724186001**
თარიღი:**04/07/2024**

განკარგულება №35

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების „MERCEDES-BENZ C220“-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“, „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს **საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება **„MERCEDES-BENZ C220“,** გამოშვების წელი - 1994, სახელმწიფო ნომერი II-658-IT, საიდენტიფიკაციო №WDBHA22E5SF149524, ძრავის მოცულობა 2200.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **1300 (ერთიათას სამასი)** ლარით.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი